სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ნომერი №8

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2017

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki 'respublika~
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Corespondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi —----------—-———---—-— 5-54

gadasaxadebi #8, 2017

GADASAKHADEBI #8, 2017

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №311

2017 წლის 1 ნოემბერი, ქ. თბილისი

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობისა და სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობის ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ნოემბრის №955 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობისა და სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობის ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ნოემბრის №955 ბრძანებულება.

მუხლი 2

ეს ბრძანებულება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №312

2017 წლის 1 ნოემბერი, ქ. თბილისი

„სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 იანვრის №12 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 იანვრის №12 ბრძანებულება.

მუხლი 2

ეს ბრძანებულება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №489

2017 წლის 2 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2011, 340030000.10.003.016172) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{18}“ ქვეპუნქტი:

„ჰ^{18}) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოდან ექსპორტირებულ ნატურალურ თაფლზე და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტებზე (დანართი №51).“.

2. დაემატოს დანართი №51 და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი: № 51

ვეტერინარული სერტიფიკატი
Ветеринарный сертификат
№ 000000
ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოდან ექსპორტირებულ ნატურალურ თაფლზე და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტებზე
на экспортируемые на таможенную территорию Евразийского экономического союза натуральный мед и другие продукты пчеловодства

1. **მიწოდების აღწერილობა/** **Описание поставки**	1.5. სერტიფიკატის №_____ Сертификат № _____
1.1. ტვირთის გამგზავნის დასახელება და მისამართი:/ Название и адрес грузоотправителя:	**ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოდან ექსპორტირებულ ნატურალურ თაფლზე და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტებზე** **Ветеринарный сертификат на экспортируемые на таможенную территорию Евразийского экономического союза натуральный мед и другие продукты пчеловодства**
1.2. ტვირთის მიმღების დასახელება და მისამართი:/ Название и адрес грузополучателя:	
1.3. ტრანსპორტი: (ნომერი: ვაგონის , ავტოტრანსპორტის, კონტეინერის, თვითმფრინავის რეისის, გემის დასახელება)/ Транспорт: (№ вагона, автомашины, контейнера, рейса самолета, название судна)	1.6. საქონლის წარმოშობის ქვეყანა:/ Страна происхождения товара:
	1.7. სერტიფიკატის გამცემი ქვეყანა:/ Страна, выдавшая сертификат:
	1.8. ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური უწყება:/ Компетентное ведомство страны-экспортера:
	1.9. ექსპორტიორი ქვეყნის სერტიფიკატის გამცემი დაწესებულება:/ Учреждение страны-экспортера, выдавшее сертификат:
1.4. ტრანზიტის ქვეყან(ები)ა: Страна(ы) транзита:	1.10. საბაჟო საზღვარზე ტვირთის გადაკვეთის პუნქტი:/ Пункт пропуска товаров через таможенную границу:

2. **საქონლის იდენტიფიკაცია/**
Идентификация товара
2.1. საქონლის დასახელება:/
Наименование товара: _____
2.2. საქონლის დამზადების თარიღი:/
Дата выработки товара :_____
2.3. შეფუთვა:/
Упаковка: _____
2.4. ადგილები ს რაოდენობა:/
Количество мест: _____
2.5. წონა ნეტო (კგ):/
Вес нетто (кг): _____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2.6. ლუქის ნომერი :/
Номер пломбы:_____
2.7. მარკირება: /
Маркировка :_____
2.8. შენახვის და გადაზიდვის პირობები:/
Условия хранения и перевозки:_____

3. **საქონლის წარმოშობა**:/
Происхождение товара:
3.1. საწარმოს დასახელება, რეგისტრაციის ნომერი და მისამართი:/
Название, регистрационный номер и адрес предприятия:

3.2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული:/
Административно-территориальная единица:

4. **საქონლის სასურსათო დანიშნულებით გამოყენების დადასტურება**/
Свидетельство о пригодности товара в пищу
მე, ქვემოთ ხელის მომწერი სახელმწიფო/ოფიციალური ვეტერინარი ექიმი, ვადასტურებ შემდეგს:/
Я, нижеподписавшийся государственный/официальный ветеринарный врач, настоящим удостоверяю следующее:
სერტიფიკატი გაცემულია შემდეგი წინასაექსპორტო სერტიფიკატების საფუძველზე (ორზე მეტი წინასაექსპორტო სერტიფიკატის შემთხვევაში თან ერთვის სია):/
Сертификат выдан на основе следующих доэкспортных сертификатов (при наличии более 2 доэкспортных сертификатов прилагается список):

თარიღი/ Дата	ნომერი/ Номер	წარმოშობის ქვეყანა/ Страна происхождения	ადმინისტრაციული ტერიტორია/ Административная территория	საწარმოს რეგისტრაციის ნომერი/ Регистрационный номер предприятия	საქონლის რაოდენობა Вид и кол нетто

4.1. ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე ექსპორტირებული ნატურალური თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები რეგიონალიზაციის შესაბამისად, მიღებულია მეურნეობებიდან (საფუტკრეებიდან) და ადმინისტრაციული ტერიტორიებიდან, რომლებიც თავისუფალია ამერიკული სიდამპლისგან, ევროპული სიდამპლისაგან და ნოზემატოზისაგან ბოლო 3 თვის განმავლობაში./
Экспортируемые на таможенную территорию Евразийского экономического союза натуральный мед и продукты пчеловодства получены из хозяйтсв (пасек) и административных территорий в соответствии с регионализацией, свободных от американского гнильца, европейского гнильца, нозематоза в течении последних 3 месяцев на территории хозяйтсва.

4.2. თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები არ შეიცავს ქლორამფენიკოლის, კოლხიცინის, დაპსონის, დიმეტრიდაზონის, ნიტროფურანების, რონიდაზოლის ნარჩენებს. კუმაფოსის შემცველობა – არ აღემატება 100 მკგ/კგ-ს, ხოლო ამიტრაზის შემცველობა – არ აღემატება 200 მკგ/კგ-ს.
Мед и продукты пчеловодства не содержат остатков хлорамфеникола, колхицина, дапсона, диметридазона, нитрофуранов, ронидазола. Содержание кумафоса – не более 100 мкг/кг, амитраза – не более 200 мкг/кг.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4.3. ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე ექსპორტირებული ნატურალური თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები:/

Мед и продукты пчеловодства экспортируемые на таможенную территорию Евразийского экономического союза:

- არ აღენიშნება ორგანოლეპტიკური, ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ცვლილებები;/
- не имеют измененных органолептических, физико-химических показателей;
- არ შეიცავს ნატურალურ ან სინტეთიკურ ესტროგენულ ჰორმონულ ნივთიერებებს, თირეოსტატიკურ პრეპარატებს;/
- не содержат натуральных или синтетических эстрогенных гормональных веществ, тиреостатических препаратов;
- არ აღენიშნება შეფუთვის მთლიანობის დარღვევა;/
- не имеют нарушений целостности упаковки;
- არ შეიცავს პრეპარატების ნარჩენებს, რომლებიც გამოყენებული იყო ფუტკრის მკურნალობისა და დამუშავების დროს./
- не содержат остатков лекарственных препаратов, которые применялись для лечения и обработки пчел.

4.4. თაფლისა და მეფუტკრეობის პროდუქტების შეგროვებისას გამოყენებული იყო შემდეგი პესტიციდები:/

В ходе сбора меда и производства продуктов пчеловодства использовались следующие пестициды:

4.5. თაფლისა და მეფუტკრეობის პროდუქტების ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური (მძიმე მეტალები, პესტიციდები), რადიოლოგიური და სხვა მაჩვენებლები შეესაბამება ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში მოქმედ ვეტერინარულ და სანიტარიულ ნორმებსა და წესებს./

Химико-токсикологические (тяжелые металлы, пестициды), радиологические и другие показатели меда и продуктов пчеловодства соответствуют действующим в Евразийском экономическом союзе ветеринарным и санитарным нормам и правилам.

4.6. თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები მიჩნეულია სურსათად გამოყენებისათვის ვარგისად./

Мед и продукты пчеловодства признаны пригодными для употребления в пищу.

4.7 ტარა და შესაფუთი მასალა ერთჯერადია და შეესაბამება ევრაზიის ეკონომიკური კავშირის მოთხოვნებს./

Тара и упаковочный материал одноразовые и соответствуют требованиям Евразийского экономического союза.

4.8 სატრანსპორტო საშუალება დამუშავებულია და მომზადებულია ექსპორტიორ-ქვეყანაში მიღებული წესების შესაბამისად./

Транспортное средство обработано и подготовлено в соответствии с правилами, принятыми в стране-экспортере.

ადგილი — თარიღი — ბეჭედი

Место _____ Дата _____ Печать

სახელმწიფო/ოფიციალური ვეტერინარი ექიმის ხელმოწერა

Подпись государственного/официального ветеринарного врача _____

სახელი, გვარი, თანამდებობა

Ф.И.О. и должность _____

შენიშვნა. ბეჭდისა და ხელმოწერის ფერი უნდა განსხვავდებოდეს ბლანკის ფერისაგან.

Примечание. Подпись и печать должны отличаться цветом от бланка.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №492

2017 წლის 8 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში (სსმ, №103, 24/08/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ხეების შესაძლო წაქცევით ან გეოლოგიური პროცესების (ქვათაცვენა, მეწყერი, ღვარცოფი და სხვა) ნებისმიერი ინფრასტრუქტურის ან მისი ცალკეული ელემენტების ფუნქციონირების შეზღუდვის ან მათი დაზიანების საფრთხის არსებობისას;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №493

2017 წლის 8 ნოემბერი, ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“:

1. **პირველი მუხლის**:

ა) **„გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„გ) პროგრამის ბენეფიციარი – მეწარმე სუბიექტი, რომელმაც მიიღო პროგრამით განსაზღვრული ხელშეწყობა ამ პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად, აგრეთვე, ამ პროგრამის მე-8 მუხლის მიზნებისთვის, სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ სოფლის მეურნეობის ნაწილის პროგრამის ბენეფიციარი. პროგრამის ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს მეწარმე სუბიექტი, რომელსაც პროგრამით განსაზღვრული ხელშეწყობის სახით უკვე მიღებული აქვს პროგრამის მე-6 მუხლის მე-4, მე-5 ან მე-6 პუნქტით ან/და 6^1 მუხლის მე-3 ან მე-6 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური მოცულობა;“;

ბ) **„ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ლ) **რეფინანსირება** – ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მიმართულებებში, პროგრამის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული მიზნებისთვის გაცემული კრედიტით პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამავე პროგრამის ფარგლებში აღებული მიმდინარე კრედიტის გადაფარვა კომერციულ ბანკში ან პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მიმართულებაში 6^1 მუხლით განსაზღვრული პირობებით გაცემული მიმდინარე სალიზინგო პროექტის გადატანა პროგრამის მონაწილე სხვა ლიზინგის გამცემთან;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-2 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები:

„დ) სახელმწიფო ან/და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეძენა (ამ პროგრამის მე-7 მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონების გარდა) ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით დროებით სარგებლობაში აღება;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირის აქციების ან წილების შეძენა ან მართვაში აღება.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კრედიტ(ებ)ი გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში – ლარში. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში აღებული კრედიტის რეფინანსირება ასევე შესაძლებელია იმავე უცხოურ ვალუტაში, თუ რეფინანსირების შედეგად მცირდება კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი და ამასთანავე არ იზრდება სააგენტოს მიერ თანადაფინანსების სახით გადასახდელი თანხის ჯამური ოდენობა და თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა.“.

3. მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი მოიცავს კრედიტის, ლიზინგისა და საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულებებს. ამასთან, სასტუმრო ინდუსტრიაში კრედიტის მიმართულების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ სასტუმროს მესაკუთრე მეწარმე სუბიექტის მიერ. კრედიტისა და საერთაშორისო ბრენდის გამოყენების, ასევე კრედიტისა და ლიზინგის ან ლიზინგისა და საერთაშორისო ბრენდის მიმართულებებით სარგებლობა შესაძლებელია ერთდროულად.“;

ბ) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ლიზინგის მიმართულების ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარი უზრუნველყოფს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში წარმოების დაწყებას ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 2 (ორი) წლისა, ხოლო არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების შემთხვევაში – ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 12 თვისა;

ბ) ამ პროგრამის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასტუმრო ინდუსტრიაში საერთაშორისო ბრენდის გამოყენების შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებას, ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 3 (სამი) წლისა, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე საქმიანობის დაწყების ან/და არსებული სასტუმროს გაფართოების/გადაიარაღების შემთხვევაში – ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 2 (ორი) წლისა;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წარმოების დაწყებიდან ან/და არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით დამტკიცებული პროექტის შემთხვევაში, ლიზინგის საგნის გაცემიდან 2 წლის განმავლობაში, წარმოების პროფილის შენარჩუნებას;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებიდან ან/და არსებული სასტუმროს გაფართოების/გადაიარაღების დასრულების შემდგომ, 2 წლის განმავლობაში, საქმიანობის პროფილის შენარჩუნებას.

6. საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულება მოიცავს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარისთვის საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის გადახდილი 24 თვის გადასახადის ანაზღაურებას, სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თითოეულ საანგარიშო წელზე, წელიწადში არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა, სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით. თუ ამ პუნქტით განსაზღვრული ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა აღემატება წელიწადში 300 000 (სამასი ათასი) ლარს, ამ პროგრამის საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულება გავრცელდება მხოლოდ ამ პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობაზე. ამ პუნქტით განსაზღვრული ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ განხორციელებულ გადახდებზე, მაგრამ არაუმეტეს საერთაშორისო ბრენდის ფარგლებში საქმიანობის დაწყებიდან 24 თვისა. საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის პროგრამის ბენეფიციარის მიერ გადახდილი საფასურის სააგენტოს მიერ ანაზღაურება ხდება ეროვნულ ვალუტაში, პროგრამის ბენეფიციარის მიერ თანხის გადახდის დღისთვის ან სააგენტოს მიერ თანხის გადარიცხვის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, იმის მიხედვით, რომელიც არის უმცირესი.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. მე-6 მუხლის:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით, მეწარმე სუბიექტი შესაბამისი დასაბუთებით მიმართავს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, სამინისტროს მეშვეობით, საკითხს წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას განსახილველად, თუ აღნიშნული პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილ კრიტერიუმებს.“;

ბ) მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში კრედიტის რეფინანსირების შემთხვევაში, არ უნდა იზრდებოდეს კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისათვის ან/და უზრუნველყოფაში თანამონაწილეობისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა ან/და სააგენტოს გადასახდელი თანადაფინანსების დარჩენილი ჯამური მოცულობა ან/და უზრუნველყოფაში თანამონაწილეობის მოცულობა;“;

გ) მე-12 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის მე-6 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული კრედიტის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში დასაშვებია პარალელური კრედიტის გაცემა, რომლის დროსაც კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისა და უზრუნველყოფაში თანამონაწილეობისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა იწყება ახლიდან. თუ ბენეფიციარს უკვე აღებული აქვს კრედიტი უცხოურ ვალუტაში, პარალელური კრედიტით სარგებლობის შემთხვევაში, კრედიტის მაქსიმალური ოდენობის ფარგლების დასადგენად უცხოურ ვალუტაში აღებული კრედიტის თანხის ოდენობის დაანგარიშება უნდა მოხდეს პარალელური კრედიტის აღების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.“.

5. 6^1 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„4. ლიზინგის გამცემის მიერ სალიზინგო პროექტის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარისთვის დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) 100,000.0 (ასი ათასი) ლარიდან – 500,000.0 (ხუთასი ათასი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 11 (თერთმეტი) პროცენტისა;

ბ) 500,000.0 (ხუთასი ათასი) ლარიდან – 1,000,000.0 (ერთი მილიონი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 10 (ათი) პროცენტისა;

გ) 1,000,000.0 (ერთი მილიონი) ლარიდან – 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 9 (ცხრა) პროცენტისა.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გასაცემი ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით, მეწარმე სუბიექტი შესაბამისი დასაბუთებით მიმართავს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, სამინისტროს მეშვეობით, საკითხს წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას განსახილველად, თუ აღნიშნული პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილ კრიტერიუმებს.“;

გ) მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სალიზინგო პროექტის რეფინანსირების შემთხვევაში, არ უნდა გაიზარდოს სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა ან/და სააგენტოს გადასახდელი თანადაფინანსების დარჩენილი ჯამური მოცულობა.“.

6. მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ბ) პროგრამის ბენეფიციარის მიერ შესაბამის კომერციულ ბანკთან/ლიზინგის გამცემთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, კერძოდ, სესხის გრაფიკით გათვალისწინებული მინიმალური შენატანის 120 (ას ოცი) დღეზე მეტი ვადაგადაცილების ან/და კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღების ან უზრუნველყოფის საგნის გადაცემის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება წყდება;“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ნაწილში პროგრამის ბენეფიციარის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო (მათ შორის, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში) სააგენტოს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია, დააბრუნოს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში გადახდილი თანხები (მათ შორის, უზრუნველყოფის გამოყენების შედეგად გადახდილი თანხა).“.

7. 12^{6} **მუხლის:**

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) კონკურსში მონაწილეთა საპროექტო წინადადების ბიუჯეტი.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^{1} პუნქტი:

„1^{1}. კომისია უფლებამოსილია, კონტრაქტორთა შერჩევის პროცესში დამატებით გამოიყენოს შერჩევის სხვა კრიტერიუმებიც.“.

8. 12^{9} **მუხლის „თ.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„თ.ზ) ამ პროგრამის 12^{11} მუხლის „გ“, „ვ“, „თ“ და „ზ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, დოკუმენტის საბოლოო პროდუქტის საქართველოს ფარგლებს გარეთ 1 (ერთი) ქვეყანაში დისტრიბუციის შესახებ დოკუმენტაცია (სადისტრიბუციო მოთხოვნა);“.

9. 12^{13} **მუხლის:**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მაქსიმალურ ოდენობას ადგენს საქართველოს მთავრობა, მეწარმე სუბიექტი შესაბამისი დასაბუთებით მიმართავს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, სამინისტროს მეშვეობით, საკითხს წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას განსახილველად, თუ აღნიშნული პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილ კრიტერიუმებს.“;

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მთლიან კვალიფიციურ ხარჯზე ამ პროგრამით გათვალისწინებული ანაზღაურება სააგენტოს მიერ მოხდება საბოლოო პროექტის განხორციელების, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული სავარაუდო კვალიფიციური ხარჯისა და პროექტის განხორციელების შემდეგ დაზუსტებული კვალიფიციური ხარჯის შედარების, შესაბამისი აუდიტორული კომპანიის მიერ დასკვნის (სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად) სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით სააგენტოში წარდგენიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.“.

10. დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №2

კვალიფიციური ხარჯები

№	კოდი	კვალიფიციური ხარჯის დასახელება	კვალიფიციური ხარჯების ლიმიტი მთლიან კვალიფიციურ ხარჯთან
1	001	აუდიო-ვიზუალური აპარატურის ქირა საქართველოში	100%
2	002	გარდერობის/კოსტუმების დაქირავება	15%
3	003	თმისა და გრიმის სტუდიების მომსახურება	100%
4	004	რეკვიზიტის დაქირავება	100%
5	005	გენერატორების დაქირავება	100%
6	006	გრიმის აღჭურვილობის დაქირავება (თავისი აქსესუარებით)	15%
7	007	განათების აღჭურვილობის დაქირავება (თავისი აქსესუარებით)	15%
8	008	პავილიონების, სტუდიების, სარეპეტიციო დარბაზების, საამქროების (ბუტაფორიული, სადურგლო), სახელოსნოების, სპორტული სასაწყობე ფართების, სცენის, დარბაზების დაქირავება	100%
9	009	საოფისე ფართის დაქირავების, ოფისის ავეჯისა და მოწყობილობების დაქირავება	100%
10	010	საჰაერო და წყლის ტრანსპორტის დაქირავება საქართველოში	15%
11	011	ცხოველების დაქირავება, წვრთნა, კვება, ტრანსპორტირება	100%
12	012	წყლის ავზებისა და მობილური ტუალეტების დაქირავება	100%
13	013	სახელმწიფო და კერძო დაქვემდებარებაში მყოფი სპეცპერსონალისა და სპეცტექნიკის დაქირავება	100%
14	014	სახმელეთო ტრანსპორტის, მანქანებისა და კინოწარმოების ყველა სპეცტრანსპორტის დაქირავება	100%
15	015	უსაფრთხოებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურებები	100%
16	016	კვება და კატერინგის მომსახურება - საქართველოს ტერიტორიაზე, თუ ეს პირდაპირ კავშირშია საბოლოო პროექტთან	15%
17	017	პროფესიონალური მომსახურება, გაწეული საქართველოში – სადაზღვევო, საბანკო, აუდიტის, საექსპერტო და იურიდიული მომსახურება. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთდამოკიდებული პირის მიერ გაწეული მომსახურებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, საბაზრო ფასის დადგენის მიზნით, ექსპერტის მიერ გაწეული მომსახურება	100%

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

18	018	სპეცეფექტების მომსახურება - სპეციალისტები და მოწყობილობა	10%
19	019	სპეცმომსახურება – დაივინგი, პარაშუტიდან ხტომა, დელტაპლანისა და ინსტრუქტორის დაქირავება, სამთო მომსახურებასა და კინოწარმოებასთან დაკავშირებული ყველა სპეცმომსახურება	100%
20	020	სამრეცხაოსა და ქიმწმენდის მომსახურება	100%
21	021	გადასაღები ადგილების იჯარა და გადაღების უფლების ღირებულება - აუდიო-ვიზუალურ წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული გადასაღები ადგილების მფლობელებისთვის (რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირებისთვის) გადასახდელი თანხები საქართველოს ტერიტორიაზე	100%
22	022	დეკორაციების აშენების ან/და მოწყობის მომსახურება	100%
23	023	საქართველოს ტერიტორიაზე პროგრამის ბენეფიციარის ადმინისტრაციული პერსონალის სამივლინებო ხარჯები - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად	1%
24	024	საქართველოში ცხოვრების, ღამისთევის ხარჯები (მ.შ. სასტუმროს ხარჯები) პერსონალისთვის	15%
25	025	პერსონალის ხარჯები, რომელშიც შედის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე დაქირავებული პერსონალის (მ.შ. მუშახელის) ხელფასის სახით გაცემული შემოსავლები, რომლებიც არიან საქართველოს რეზიდენტები და მათი საშემოსავლო გადასახადის გადახდა ხდება საქართველოს ბიუჯეტში	60%
26	026	პროგრამის ბენეფიციარის მიერ წამყვან პოზიციებზე დასაქმებული არარეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად გადახდილი ხელფასი, რომელიც დაბეგრილია საშემოსავლო გადასახადით და გადახდილია საქართველოს ბიუჯეტში. წამყვან პოზიციებზე დასაქმებულში იგულისხმება: მსახიობი – მთავარი როლის შემსრულებელი ან შემსრულებლები; პროდიუსერი; რეჟისორი; დეპარტამენტის ხელმძღვანელები	15%
27	027	მგზავრობის ხარჯები (მხოლოდ საქართველოში)	5%
28	028	საწვავის ხარჯები (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის №230 ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით)	5%
29	029	კომუნალური ხარჯი	1.5%
30	030	ტელეკომუნიკაციის ხარჯები - ტელეფონის, მობილური ტელეფონის, ინტერნეტისა და ფაქსის გადასახადები საქართველოში; რაციების დაქირავება	2%
31	031	გამოსახულების მონტაჟი	100%
32	032	ანიმაცია	100%

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

33	033	ვიზუალური ეფექტების (VFX) მომსახურება	100%
34	034	ფერის კორექცია	100%
35	035	მუსიკის ჩაწერა	100%
36	036	ხმაურების ჩამწერი სტუდიის დაქირავება	100%
37	037	გამოსახულების რენდერი	100%
38	038	ხმის ჩამწერი სტუდიების დაქირავება (ფილმისთვის ხმის ჩაწერა)	100%
39	039	თარგმანი	100%
40	040	სუბტიტრირება	100%
41	041	საქართველოში გაწეული ლაბორატორიული ხარჯები	100%
42	042	დისტრიბუციისა და გაყიდვების კომპანიისათვის მისაწოდებელ ფილმთან დაკავშირებული პაკეტების შექმნა (deliverables)	100%
43	043	კასტინგის მომსახურება	100%
44	044	ტალანტის სააგენტოების მომსახურება	60%.“.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №494

2017 წლის 8 ნოემბერი, ქ. თბილისი

„სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №110 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/03/2015, 010220020.10.003.018495) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №1

სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა

გიგლა აგულაშვილი – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

სოლომონ პავლიაშვილი – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ვაჟა გელეიშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მყარი სასარგებლო წიაღისეულის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების გამგე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ქეთევან ლომიძე – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის მიწისა და წიაღის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

ვახტანგ ცინცაძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტის უფროსი;

მერაბ გაფრინდაშვილი – სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

ემილ წერეთელი – სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მერაბ ჩალათაშვილი – სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ნინო თანდილაშვილი – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ირაკლი ნადარეიშვილი – სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

შორენა იოსებიძე – სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ნელი კორკოტაძე – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი;

ნანა ზაუტაშვილი – სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი სპეციალისტი;

გიორგი მელიქაძე – ჰიდროგეოფიზიკისა და გეოთერმიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;

შალვა გეგია – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეპარტამენტის გეოლოგიური აგეგმვისა და ძებნა-ძიების მიმართულების უფროსი მასწავლებელი;

არჩილ მაღალაშვილი – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო და გეომეცნიერებების დეპარტამენტის დირექტორი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი, ასოცირებული პროფესორი;

დავით ბლუაშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

მიხეილ ჯიბუტი – ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის სახელმწიფო კომისიის წევრი;

ნიკა ბოჭორიშვილი – სსიპ – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის საბადოთა დამუშავების ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სამთო ინჟინერი, დოქტორი;

ოთარ მაჭავარიანი – გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №400

2017 წლის 7 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №219 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №219 ბრძანებაში (ვებგვერდი, 03/07/2017, სარეგისტრაციო კოდი 010320040.22.033.016991) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების:

1. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) უმაღლესი ეკონომიკური განათლება;

ბ) პროექტების მართვის ან ანალიზის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) ეკონომეტრიკის და ეკონომიკური ანალიზის საფუძვლების ცოდნა;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, საქართველოს კანონის „გრანტების შესახებ“, საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილების „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების „პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანების „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft office PowerPoint, Microsoft office Outlook) ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის ცოდნა.“.

2. მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, დაბეგვრასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“, საქართველოს კანონის „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“, საქართველოს კანონის „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft office Outlook) ცოდნა;

ე) ინგლისური ენის ცოდნა.“.

3. მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, დაბეგვრასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“, საქართველოს კანონის „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“, საქართველოს კანონის „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft office Outlook) ცოდნა;

ე) ინგლისური ენის ცოდნა.“.

4. მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) სტრატეგიული დაგეგმვისა და პროექტების მართვის სფეროში ან კვლევებისა და შეფასების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება; ასევე, უპირატესობა მიენიჭება საგადასახადო ან საბაჟო სფეროში მუშაობის გამოცდილებას;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft office Outlook) ცოდნა;

ე) ინგლისური ენის ცოდნა.“.

5. 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება საჯარო მმართველობის სპეციალობით ან უმაღლესი განათლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) საჯარო პოლიტიკის სფეროში ან საჯარო ფინანსების მართვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office Word, Microsoft office Excel, Microsoft office Outlook) ცოდნა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) ინგლისური ენის ცოდნა.“.

6. 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება საჯარო მმართველობის სპეციალობით ან უმაღლესი განათლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) ეკონომიკური პოლიტიკის ან ეკონომიკური ანალიზის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) მაკროეკონომიკის ცოდნა;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს კანონის „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“, საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანების „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, საერთაშორისო საბიუჯეტო კლასიფიკაციის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office Word, Microsoft office Excel, Microsoft office Outlook) ცოდნა;

ვ) ინგლისური ენის ცოდნა.“.

7. 33-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება საჯარო მმართველობის სპეციალობით ან უმაღლესი განათლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) პროექტების მართვისა და მონიტორინგის ან დონორებთან ურთიერთობის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ I, II და III თავების, საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“, საქართველოს კანონის „გრანტების შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;''

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft office Outlook) ცოდნა;

ე) უცხო ენის (მათ შორის, აუცილებელია ინგლისური ენის) ცოდნა.“.

8. 34-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება საჯარო მმართველობის სპეციალობით ან უმაღლესი განათლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) სახელმწიფო ვალის მართვის ან პროექტების მართვისა და მონიტორინგის ან დონორებთან ურთიერთობის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) მაკროეკონომიკის ცოდნა;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ I, II და III თავების, საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“, საქართველოს კანონის „გრანტების შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft office Outlook) ცოდნა;

ვ) უცხო ენის (მათ შორის, აუცილებელია ინგლისური ენის) ცოდნა.“.

9. მე-40 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი ფინანსების სპეციალობით;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის „ოპერატიიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ'', საქართველოს კანონის „პროკურატურის შესახებ“, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს კანონის „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის „შემოსავლების სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის №790 ბრძანების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე'', საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook)ცოდნა.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-19

2017 წლის 8 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის №17 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის №17 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 31/10/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010240000.64.076.016003) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. მე-2 მუხლს დაემატოს 5^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5^1. სამსახურის მიერ აუდიტორის ან/და აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო პირობებთან შესაბამისობის შესწავლის დროს შესაძლებელია რეესტრში გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნა.“.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აუდიტორის სახელი, გვარი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის ადგილი (ძირითადი ან/და არაძირითადი, ინდივიდუალურად ან აუდიტორული ფირმის მეშვეობით), სარეგისტრაციო ნომერი და რეესტრში რეგისტრაციის თარიღი;“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) პროფესიულ ორგანიზაციაში წევრობის შესახებ, პროფესიული ორგანიზაციის სახელწოდების, პროფესიული ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომრის, ქვეყნის, პროფესიული ორგანიზაციის ვებგვერდის მითითებით;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, არსებობის შემთხვევაში, ვებგვერდის მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, რეესტრში რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო და სარეგისტრაციო ნომერი;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იმ აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის სახელი, გვარი და სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც აუდიტორულ ფირმაშია დასაქმებული ან მასში არის პარტნიორი/აქციონერი ან მმართველობითი ორგანოს წევრი ან სხვაგვარად არის მასთან დაკავშირებული, აგრეთვე ინფორმაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ;“.

4. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მე-3 პუნქტში მიეთითება დაინტერესებული პირის აუდიტორის ზედამხედველობით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების (აუდიტორულ გარიგებებში მონაწილოების) არანაკლებ 3-წლიან პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირებით დამსაქმებელი აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის სახელწოდება, ზედამხედველი აუდიტორის ზედამხედველობის ქვეშ ქსელის ფარგლებში მიღებული პრაქტიკული გამოცდილების მიღების ქვეყანა, ზედამხედველი აუდიტორის წერილობითი დასტური (პრაქტიკის ფურცელი), რომელიც მოიცავს სერტიფიცირებული ბუღალტრის და ზედამხედველი აუდიტორის სახელს, გვარს და პირად ნომერს, ზედამხედველი აუდიტორის რეესტრში რეგისტრაციის ნომერს, პრაქტიკის პერიოდს (დაწყებისა და დასრულების თარიღს), სუბიექტთან დადებული იმ გარიგებების შესახებ ინფორმაციას (სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, ხელშეკრულების საგანი და პერიოდი), რომელშიც კანდიდატი/სერტიფიცირებული ბუღალტერი მონაწილეობდა (შესაბამისი როლის მითითებით), ასევე, ინფორმაციას, კანდიდატის/სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაში მონაწილეობის მიღებისას გამოვლენილი, გამომუშავებული პროფესიული კომპეტენციების შესახებ (პროფესიული უნარები, ტექნიკური კომპეტენციები, პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და დამოკიდებულებები).

შენიშვნა №1: 3-წლიანი პრაქტიკული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მითითებისას, გამოიყენება სამუშაო ადგილის განსაზღვრის შემდეგი რიგითობა: ძირითადი სამუშაო ადგილი, არაძირითადი სამუშაო ადგილი, წინა სამუშაო ადგილი.

შენიშვნა №2: ზედამხედველი აუდიტორის ფუნქციების განხორციელებისას, პირი უნდა იყოს აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორი ან/და საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორი;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) მე-10 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია, ბოლო 3 წლის განმავლობაში პროფესიული (არადაქირავებული) საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ (მათ შორის კონსოლიდირებული სახით, პროფესიული მომსახურების განმახორციელებელი შვილობილი კომპანიის არსებობის შემთხვევაში). დაინტერესებული პირის მიერ მიეთითება კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნტით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან და ამავე პუნქტის „ვ.ბ“, „ვ.გ“, „ვ.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურებებიდან (სხვა აუდიტორული საქმიანობიდან), სხვა პროფესიული მომსახურებიდან (საბუღალტრო, საგადასახადო, ფინანსური მენეჯმენტის სფეროში გაწეული მომსახურებიდან, ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურებიდან (მათ შორის, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 2^3 პუნქტით განსაზღვრული ფინანსური მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ დადებული გარიგებებიდან მიღებული შემოსავლების ოდენობა (ლარებში, წლების მიხედვით));“;

გ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) მე-11 პუნქტში, კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულებში ნასამართლობის არქონის დადგენის მიზნით, მიეთითება ინფორმაცია პირის ნასამართლობის თაობაზე (ცნობის გაცემის თარიღის მითითებით). ცნობა (დედანი) სარეგისტრაციო განაცხადს დაერთვის მატერიალური სახით. ამ პუნქტის საფუძველზე სამსახურში წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ნასამართლობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 კალენდარულ დღეს;“.

5. მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აუდიტორი ვალდებულია არაუგვიანეს 1 აპრილისა განაახლოს ინფორმაცია მის მიერ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურებებიდან წინა წელს მიღებული შემოსავლების შესახებ.

3. აუდიტორული ფირმა ვალდებულია არაუგვიანეს 1 აპრილისა განაახლოს ინფორმაცია მის მიერ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურებებიდან, წინა წელს მიღებული შემოსავლების და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იური დოლიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-20

2017 წლის 8 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს №ნ-12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს №ნ-12 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23/08/2017 წ., 010240080.64.076.016021) დამტკიცებულ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (ადამიანური რესურსების მართვის მიმართულება)

ა) უმაღლესი განათლება სოციალური მეცნიერებების მიმართულებით (ფსიქოლოგიის სპეციალობით) ან უმაღლესი განათლება სამართლის მიმართულებით;

ბ) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსი, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, Microsoft Office Outlook) კარგი ცოდნა;

დ) ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იური დოლიძე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება № ნ-21

2017 წლის 8 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი, 13/07/2017; სარეგისტრაციო კოდი 260030000.64.076.016017) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის“ (დანართი №1):

1. მე-20 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„9. მონიტორინგის შედეგები საჯაროა (დასკვნითი შეფასების კატეგორია, აღმოჩენილი ხარვეზების შეჯამება, შემზღუდველი ხასიათის რეკომენდაცია და პასუხისმგებლობის სახე, ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში. სამსახური უფლებამოსილია შეზღუდოს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის და სუბიექტის შესახებ ინფორმაციის სრულად გამოქვეყნება, თუ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს უქმნის შესაბამისი დარგის ფინანსურ სტაბილურობას.“.

2. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პირველი კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გაივლის მონიტორინგს შენიშვნების გარეშე ან კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებულ აუდიტის მტკიცებულებებთან, ძირითად აუდიტის მსჯელობებთან (სტრატეგიასთან) და შესაბამის ფუნდამენტალურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში აღმოჩნდა არასისტემური (იზოლირებული) მხოლოდ უმნიშვნელო შენიშვნები ან არასისტემური (იზოლირებული) ხარვეზები, რომლებიც ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად მეტია, ვიდრე მხოლოდ უმნიშვნელო და ნაკლებია, ვიდრე არსებითი/მნიშვნელოვანი შენიშვნები ან/და არსებულ აუდიტის მეთოდოლოგიასთან და ხარისხის კონტროლის სიტემასთან აღმოჩნდა არასისტემური (იზოლირებული) მხოლოდ უმნიშვნელო შენიშვნები ან ისეთი შენიშვნები, რომლებიც მეტია, ვიდრე მხოლოდ უმნიშვნელო და ნაკლებია, ვიდრე არსებითი/მნიშვნელოვანი შენიშვნები;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მეორე კატეგორიის – კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებულ აუდიტის მტკიცებულებებთან, ძირითად აუდიტის მსჯელობებთან (სტრატეგიასთან) და შესაბამის ფუნდამენტალურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში აღმოჩნდა არასისტემური ხარვეზები, რომლებიც ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად მეტია, ვიდრე უმნიშვნელო და შესაძლოა იყოს არსებითი/მნიშვნელოვანი შენიშვნები. ამავე დროს, არსებითი/მნიშვნელოვანი შენიშვნების რაოდენობა არის მრავალრიცხოვანი, შემოწმებული გარიგების ზომის და სირთულის გათვალისწინებით ან/და არსებულ აუდიტის მეთოდოლოგიასთან და ხარისხის კონტროლის სიტემასთან აღმოჩნდა შენიშვნები, რომლებიც მეტია, ვიდრე მხოლოდ უმნიშვნელო და ნაკლებია, ვიდრე არსებითი/მნიშვნელოვანი შენიშვნები. აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორებისა და პერსონალის კვალიფიკაცია ადეკვატურია და ისინი ორიენტირებულნი არიან საკუთარი კვალიფიკაციის/აუდიტორული ფირმის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. აუდიტორს/გარიგების პარტნიორს მნიშვნელოვნად არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) მესამე კატეგორიის – კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებულ აუდიტის მტკიცებულებებთან, ძირითად აუდიტის მსჯელობებთან (სტრატეგიასთან) და შესაბამის ფუნდამენტალურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში აღმოჩნდა არასისტემური და შესაძლოა სისტემური ხარვეზებიც, რომლებიც ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად არსებითი და მნიშვნელოვანია ან/და არსებულ აუდიტის მეთოდოლოგიასთან და ხარისხის კონტროლის სისტემასთან აღმოჩნდა არსებითი/მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ყოვლისმომცველი შენიშვნები, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია საქმიანობის აკრძალვის გარეშე. აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორებისა და პერსონალის კვალიფიკაცია ადეკვატურია და ისინი ორიენტირებულნი არიან საკუთარი კვალიფიკაციის/აუდიტორული ფირმის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. აუდიტორს/გარიგების პარტნიორს მნიშვნელოვნად არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი;

ე) მეოთხე კატეგორიის – თუ აუდიტორის/გარიგების პარტნიორის კომპეტენციიდან გამომდინარე არსებობს საჭიროება, რომ აუდიტორს/გარიგების პარტნიორს/აუდიტორულ ფირმას გარკვეული პერიოდით აეკრძალოს აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება ან/და ხარისხის კონტროლის სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მან შესაძლოა ურყოფითად იმოქმედოს აუდიტორის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობაზე, ან თუ აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის აკრძალვა აუცილებელია საზოგადოების ინტერესთა დასაცავად, ან თუ აღმოჩენილი ხარვეზები განსაკუთრებული სიმძიმით ხასიათდება, თუმცა სამსახურის მიერ მიიჩნევა, რომ ის აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მიერ გამოსწორებადია გონივრულ ვადებში;

ვ) მეხუთე კატეგორიის – თუ აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მიერ ხდება კანონმდებლობის ფუნდამენტურ მოთხოვნათა სისტემატურად შეუსრულებლობა ან/და სუბიექტის ან საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანა ან/და იმ შემთხვევებში, როდესაც აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მიერ განხორციელებული მომსახურება საშიშია საზოგადოებისთვის და სუბიექტთა ფუნქციონირებისათვის.“;

დ) 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სდპ-სათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას და მის გარიგების პარტნიორს, რომელზეც სამსახურის მიერ გაიცა პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა.“;

ე) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. იმ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, რომელსაც აქვს მეორე ან მესამე კატეგორიის დასკვნა, სამსახური უფლებამოსილია დაავალოს აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას აუდიტის გარიგების ხარისხის მიმოხილვისთვის დამატებითი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების (მათ შორის, პარტნიორის) ჩართვა მიმდინარე გარიგებების დასასრულებლად. აღნიშნულ შემთხვევაში აუდიტის გარიგების საფუძველზე სუბიექტისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) მე-7 და მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თუ პირის მიმართ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მეოთხე კატეგორიის დასკვნის გაცემის თაობაზე, იგი არ არის უფლებამოსილი აუდიტის ჩატარების ან დასკვნაზე ხელის მოწერის აკრძალვის პერიოდში მიმართოს სამსახურს ხელახალი მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით.“.

„8. მეოთხე კატეგორიის დასკვნის გაცემის შემთხვევაში სამსახური იტოვებს უფლებას, მისცეს აუდიტორს/გარიგების პარტნიორს/აუდიტორულ ფირმას მიმდინარე გარიგების საფუძველზე შესასრულებელი მომსახურების დასრულების საშუალება. ამ შემთხვევაში სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის სისტემატური მონიტორინგი.“.

3. 22-ე მუხლის:

ა) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახური, საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე ვალდებულია ერთდროულად ან/და ცალ-ცალკე, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, – არათანამიმდევრულად, გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ა) წერილობითი გაფრთხილება;

ბ) საჯარო გაფრთხილება (რეესტრში ასახვით);

გ) ფულადი ჯარიმა.

4. მეოთხე კატეგორიის დასკვნის გაცემის შემთხვევაში სამსახური არაუმეტეს 3 წლის ვადით კრძალავს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიერ აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარტნიორებისთვის/აქციონერებისთვის ფუნქციების განხორციელების უფლებას.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მეხუთე კატეგორიის დასკვნის გაცემის შემთხვევაში სამსახური ვალდებულია შეუწყვიტოს აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას რეგისტრაცია.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურისუფროსი

იური დოლიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

30.10.2017

პროექტი

საქართველოს კანონი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 39-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ'' ქვეპუნქტი:

„ქ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – გარემოს ეროვნულ სააგენტოს – „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.''.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონ პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებას. მოსაკრებლის განაკვეთს, გადახდის წესსა და გადახდის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის თანახმად, მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირებას ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოები ფლობენ ინფორმაციას, კონკრეტული ლიცენზიატის მიერ მოსაკრებლის გადახდის თაობაზე. გამომდინარე იქედან, რომ ლიცენზიატისთვის სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის უფლების მინიჭება ხდება სსიპ –გარემოს ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ, ამ უფლების საფუძველზე არსებული ყველა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვალდებულების შესრულებაზე ინფორმაციის ფლობის უფლებამოსილება მას უნდა გააჩნდეს. მოსაკრებლის გადახდაც, ისევე როგორც სხვა პირობები, რომელთა შესრულების ვალდებულებაც ლიცენზიატს გააჩნია, წარმოადგენს ლიცენზიის საფუძველზე და მისგან გამომდინარე არსებულ ვალდებულებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოსაკრებლის გადახდა წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობითა და ლიცენზიის გაცემის თაობაზე სააგენტოს უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სალიცენზიო პირობას, საჭიროა მისი შესრულების თაობაზე ინფორმაციის ფლობის უფლების მინიჭება მისი დამდგენი ადმინისტრაციული ორგანოსთვის. აღნიშნულ ინფორმაციას სააგენტო იღებს მხოლოდ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელის მიერ ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე წარმოდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფარგლებში. აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე წარმოდგენილი ინფორმაცია სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ლიცენზიის მფლობელის მიერ საგადასახადო კუთხით არსებული ვალდებულების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მოწოდებასაც. თუმცა ამ ჩანაწერით არ არის უზრუნველყოფილი სააგენტოს მუდმივი ინფორმირებულობა ლიცენზიატის მიერ კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობის შესრულებაზე. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ლიცენზიის გამცემს წარედგინება კალენდარულ წელში ერთხელ (1 აპრილიდან 1 მაისამდე პერიოდში), იგი მოიცავს გასული კალენდარული წლის პერიოდის მონაცემებს. შესაბამისად, ვერ იქნება რელევანტური ინფორმაციის ოპერატიულად საჭიროების პირობებში. ამასთან, ამავე კანონის თანახმად, ლიცენზიის მფლობელს ანგარიშის წარდგენის ვალდებულება არ აქვს ლიცენზიის აღების პირველ წელს თუ ანგარიშგების პერიოდის დაწყებადე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები დრო.

ხშირია შემთხვევები, როცა სააგენტოს გარკვეული ლეგიტიმური მიზნებიდან გამომდინარე ესაჭიროება ინფორმაცია ლიცენზიატის მიერ მოსაკრებლის გადახდის ფაქტთან, თარიღთან და ოდენობასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, რეგულირების საფასურისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის შემთხვევაშიც განაკვეთის საფუძველს წარმოადგენს მოსაპოვებელი/მოპოვებული რესურსის მოცულობა (მაგალითად, $მ^3$, ტონა, გრამი, კგ და ა.შ). ლიცენზიის მფლობელი, რეგულირების საფასურით დაბეგვრის მიზნით, მოპოვებული მოცულობის დეკლარირებას აკეთებს ლიცენზიის გამცემის მიმართ, ხოლო მოსაკრებლის შემთვევაში შემოსავლების სამსახურის მიმართ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლიცენზიის გამცემისათვის რეგულირების საფასურის სწორად დარიცხვის მიზნით, ანდა უკვე დარიცხული რეგულირების საფასურის შემთხვევაში, მისი სისწორის გადამოწმების მიზნით, მნიშვნელოვანია ფლობდეს ინფორმაციას, რა ოდენობის მოსაკრებელი გადაიხადა ლიცენზიის მფლობელმა ბიუჯეტის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში, იარსებებს ლიცენზიის მფლობელის მიერ გადახდილი გადასახადების შედარების შესაძლებლობა მათი სისწორის დადგენის მიზნით, რაც, რა თქმა უნდა, არსებითად მნიშვნელოვანია ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის, რომელიც ახორციელებს საჯარო ფუნქციებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში და წარმოადგენს დარგის მარეგულირებელ ორგანოს.

მოქმედი რეგულაციით, აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებამოსილება მას არ გააჩნია, რაც გაუმართლებელია, ვინაიდან ამ პირობებში ვერ ხდება სააგენტოს მიერ გადაუხდელობიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობაზე სწრაფი რეაგირება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის საგადასახადო საიდუმლოების გაცნობის უფლების მინიჭება კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. აღნიშნულ ფარგლებში იგულისხმება მხოლოდ იმ ინფორმაციაზე წვდომის უფლებამოსილება, რომელიც განსაზღვრულია „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონით. კანონპროექტით, კანონმდებლობის დონეზე დარეგულირდება ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებსა და სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს შორის. მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდეს უფლებამოსილება, არამხოლოდ ანგარიშგების პერიოდში და ლიცენზიის მფლობელის მიერ წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით, არამედ ნებისმიერ დროს, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, მიიღოს საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაცია. ეს მოიცავს გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებულ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას. აღნიშნული არ გულისხმობს ისეთ მონაცემებს, როგორიც არის გადასახადის გადამხდელის სტატუსი, სახელწოდება, მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი და სხვა საჯარო ინფორმაცია. კანონპროექტის მიზანია, სააგენტოს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, გააჩნდეს უფლებამოსილება, გაეცნოს საგადასახადო საიდუმლოებას, რომელიც მოექცევა „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონის ფარგლებში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლით „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 39-ე მუხლის მეორე ნაწილს ემატება ,,ქ” ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც, საგადასახადო ორგანოს, მის თანამშრომელს, უფლება ექნება ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია ამ მუხლში მითითებული პირების გარდა ასევე გადასცეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – გარემოს ეროვნულ სააგენტოს. სააგენტოს გაუჩნდება უფლებამოსილება, გაეცნოს საგადასახადო საიდუმლოებას ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის ფარგლებში. სააგენტოს ექნება წვდომა ამ კანონის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების შესრულების შესახებ ინფორმაციაზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის ამოქმედება არ საჭიროებს დამატებითი სახსრების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ)კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ)კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება

მუხლი 39. საგადასახადო საიდუმლოება

1. საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია (გარდა ამ მუხლის 1^1 ნაწილში აღნიშნული ინფორმაციისა) საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1[1]. საგადასახადო საიდუმლოებას არ განეკუთვნება და საჯაროა გადასახადის გადამხდელის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა) გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;

ბ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;

გ) სტატუსი;

დ) სახელწოდება;

ე) სამართლებრივი ფორმა;

ვ) მისამართი;

ზ) საიდენტიფიკაციო ნომერი;

თ) საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თარიღი;

ი) მარეგისტრირებელი ორგანო;

კ) საგადასახადო დავალიანება;

ლ) ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირები;

მ) დამფუძნებლები;

ნ) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების და ქონებაზე დადებული ყადაღის შესახებ;

ო) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული სხვა საჯარო ინფორმაცია;

პ) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაცია.

2. საგადასახადო ორგანო, მისი თანამშრომელი, მოწვეული სპეციალისტი ან/და ექსპერტი ვალდებულია დაიცვას გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. მას უფლება აქვს, ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასცეს მხოლოდ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს წევრებს – ამ პირთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;

ბ) სამართალდამცავ ორგანოებს – მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით;

გ) სასამართლოს – სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების ან პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) სხვა სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად;

ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს (შემდგომ – აღსრულების ეროვნული ბიურო) და კერძო აღმასრულებელს – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში ან/და საგადასახადო ორგანოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას;

ვ) საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატს) – საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურს – მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ;

თ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) საგადასახადო ორგანოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას ;

ი) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ პირებს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელისათვის მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;

კ) (ამოღებულია – 01.05.2015, №3581) ;

ლ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას;

მ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას;

ნ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიას – „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

ო) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალ ადმინისტრაციულ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით;

პ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – კონკურენციის სააგენტოს – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას;

ჟ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სურსათის ეროვნულ სააგენტოს – საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

რ) საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენს/საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის მოადგილეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას;

ს) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს – ამ სააგენტოს მიერ აღნიშნული ინფორმაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საჯარო სამსახურის ბიუროსათვის გადასაცემად, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, მონაცემების ელექტრონული მიმოცვლის სისტემის ფუნქციონირებისათვის;

ტ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს – საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ სუბიექტთა შორის დოკუმენტაციის ელექტრონული მიმოცვლის სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფორმაცია;

უ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს – „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას.

3. საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება, არ გამოიყენოს იგი პირადი მიზნებისათვის ან არ გადასცეს სხვა პირს, რაც ითვლება საგადასახადო საიდუმლოების გახმაურებად. საგადასახადო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა ან ასეთი ინფორმაციის გახმაურება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

31 . ამ მუხლის მე-2 ნაწილის „პ“ და „ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და მათ თანამშრომლებს , რომლებ მაც მიიღეს ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია, უფლება არ აქვთ, გაახმაურონ ამ ინფორმაციის საიდუმლოება.

4. საგადასახადო ორგანოში არსებულ, საგადასახადო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას აქვს შენახვისა და დამუშავების სპეციალური რეჟიმი. საგადასახადო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან შეიძლება დაშვებულ იქნენ მხოლოდ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირები ფინანსთა მინისტრის მიერვე დადგენილი წესის შესაბამისად.

5. გადასახადის გადამხდელის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. გადასახადის გადამხდელის მიერ თავისი საგადასახადო ინფორმაციის საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნება ან/და გავრცელება ჩაითვლება ამ გადასახადის გადამხდელის ნებართვად აღნიშნული საგადასახადო ინფორმაციის ფარგლებში საგადასახადო ორგანოს მიერ მესამე პირისათვის ინფორმაციის გადაცემაზე.

6. ეს მუხლი არ გამოიყენება ამ კოდექსის 44-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული საჯარო შეტყობინების, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის ყალბი საგადასახადო დოკუმენტებით განმახორციელებელ პირთა შესახებ ინფორმაციის შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელების მიმართ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანება №09385/21

2017 წლის 31 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ცალკეულ მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2017 წლის 5 აპრილის №02307/21 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „მ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ცალკეულ მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2017 წლის 5 აპრილის №02307/21 ბრძანება.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გენერალური აუდიტორი

ერეკლე მექვაბიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის

ბრძანება №2

2017 წლის 19 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების“ დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 12 იანვრის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს საპატენტო კანონის 81 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების“ დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 12 იანვრის №1 ბრძანებით (ვებგვერდი 140111, 14/01/2011; 050040000.48.065.016001) დამტკიცებულ „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.პატენტრწმუნებულთა ატესტაციის ჩატარების თარიღს განსაზღვრავს საქპატენტის თავმჯდომარე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“

თავმჯდომარე

ნიკოლოზ გოგილიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის

ბრძანება №3

2017 წლის 20 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 14 დეკემბრის №04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს საპატენტო კანონის 8[1] მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 14 დეკემბრის №04 ბრძანებით (ვებგვერდი, 111214001,16.12.2011, 300200000.48.065.016003) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. **ინსტრუქციის** 32-ე **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 32. **ტექნიკის დონის კვლევა (ძიება)**

1. კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, გამოგონების სიახლისა და საგამომგონებლო დონის შესაფასებლად საქპატენტი დაცვის ობიექტის დადგენის შემდეგ ატარებს ტექნიკის დონის კვლევას (ძიებას) შესაბამისი ტექნიკის დონის დადგენის მიზნით.

2. ძიება ტარდება გამოგონების ფორმულის ყველა მუხლის მიმართ.

3. ძიება ტარდება სრული მოცულობით და შეიძლება შეწყდეს, როდესაც გამოვლენილი იქნება რამდენიმე ობიექტი, რომლის არსებითი ნიშნების ერთობლიობა ემთხვევა გამოგონების არსებითი ნიშნების ერთობლიობას.

4. ძიების შედეგად ზუსტდება გამოგონების საერთაშორისო საკლასიფიკაციო ინდექსი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. ძიების შედეგების საფუძველზე ხდება ძიების ანგარიშის შედგენა, რომელიც მოიცავს ძიების შედეგად გამოვლენილი დოკუმენტების ჩამონათვალს. ძიების ანგარიშს თან ერთვის ძიების ისტორია, რომელშიც გადმოცემულია ძიების დროს გამოყენებული საძიებო ბრძანებები.“.

2. **ინსტრუქციის** 33-ე **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 33. **სიახლის ექსპერტიზა**

1. კანონის 35-ე მუხლის 1^2 პუნქტის საფუძველზე ძიების შემდეგ საქპატენტი ატარებს სიახლის ექსპერტიზას.

2. სიახლის ექსპერტიზის ჩატარებისას ხდება დოკუმენტური დასკვნის შედგენა, რომელიც მოიცავს ძიების შედეგად გამოვლენილი დოკუმენტების ანალიზს, ასევე იმის შეფასებას, არის თუ არა ტექნიკის დონით ცნობილი, გამოგონების ფორმულაში მოყვანილი არსებითი ნიშნების ერთობლიობა.

3. სიახლის შეფასებისას ძიების შედეგად გამოვლენილი თითოეული დოკუმენტის განხილვა ხდება სხვა დოკუმენტებისაგან განცალკევებულად.

4. თუ ექსპერტიზის საფუძველზე გამოვლინდა ობიექტი, რომელიც შეიცავს გამოგონების ფორმულაში მოყვანილი არსებითი ნიშნების იმავე ერთობლიობას, ექსპერტიზა გამოიტანს დასაბუთებულ დასკვნას, იმის თაობაზე, რომ გამოგონება არ აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს, ხოლო თუ ასეთი ობიექტი არ გამოვლინდა, გამოიტანს დასაბუთებულ დასკვნას, იმის თაობაზე, რომ გამოგონება აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს.

5. თუ ექსპერტიზის საფუძველზე გამოვლინდა საქპატენტში შეტანილი განაცხადი, რომელსაც აქვს უფრო ადრინდელი პრიორიტეტი და იგი ჯერ არ გამოქვეყნებულა (არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი), კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, ექსპერტიზა შეჩერებული იქნება მის გამოქვეყნებამდე, რის შესახებ განმცხადებელს ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება.“.

3. **ინსტრუქციას დაემატოს შემდეგი შინაარსის** 33^1 **მუხლი**:

„მუხლი 33^1. **საგამომგონებლო დონის შეფასება**

1. კანონის 35-ე მუხლის 1^3 პუნქტის შესაბამისად, თუ ექსპერტს შეექმნა სრული შთაბეჭდილება, რომ გამოგონება ცხადად გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან, ექსპერტი შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანხმობით წერილობით მიმართავს საქპატენტს საგამომგონებლო დონის შეფასების თაობაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. შესაბამისი დასტურის მიღების შემთხვევაში ექსპერტი ახდენს საგამომგონებლო დონის შეფასებას და შესაბამის შედეგს ასახავს დოკუმენტურ დასკვნაში. საგამომგონებლო დონის შეფასება მოიცავს ძიების შედეგად გამოვლენილი დოკუმენტების ანალიზს და იმის შეფასებას, გამოგონება სპეციალისტისათვის ცხადად გამომდინარეობს თუ არა ტექნიკის დონიდან.

3. თუ შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ გამოგონება სპეციალისტისათვის ცხადად გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან, ექსპერტიზა გამოიტანს დასაბუთებულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ გამოგონება არ აკმაყოფილებს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმს, ხოლო თუ დადგინდა, რომ გამოგონება სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან, გამოიტანს დასაბუთებულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ გამოგონება აკმაყოფილებს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმს.“.

4. **ინსტრუქციის** 34-ე **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 34. **ძიების ანგარიში და დოკუმენტური დასკვნა**

1. ძიების შედეგად შედგენილი ძიების ანგარიში თანდართული ძიების ისტორიით, ასევე სიახლის და შესაბამის შემთხვევაში საგამომგონებლო დონის ექსპერტიზის საფუძველზე შედგენილი დოკუმენტური დასკვნა ეგზავნება განმცხადებელს.

2. ძიების ანგარიშთან და დოკუმენტურ დასკვნასთან დაკავშირებით განმცხადებელს მისი მიღებიდან 2 თვის ვადაში უფლება აქვს:

ა) დაეთანხმოს დასკვნას;

ბ) წარმოადგინოს დასაბუთებული შეპასუხება;

გ) შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე მოითხოვოს ცვლილების შეტანა გამოგონების ფორმულაში.

3. განმცხადებლის დასაბუთებულ შეპასუხებასთან დაკავშირებით საქპატენტი ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელთან მიმოწერა ვერ იძლევა სასურველ შედეგს და შეუძლებელი ხდება განაცხადზე საქმის წარმოების გაგრძელება, საქპატენტი იღებს უარყოფით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის შესახებ.

4. თუ განმცხადებელმა წარმოადგინა ფორმულის შეცვლილი რედაქცია, რომელიც არ სცილდება განაცხადში წარმოდგენილი გამოგონების არსს, ექსპერტიზა ტარდება გამოგონების ფორმულაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. თუ გამოგონების ფორმულაში მომხდარი ცვლილებების შედეგად გამოვლინდა ახალი დამოუკიდებელი მუხლ(ებ)ი, განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს სათანადო საფასური ტექნიკის დონის განსაზღვრისათვის და შესაბამისი მუხლ(ებ)ის მიმართ უნდა გაიცეს ახალი ძიების ანგარიში და დოკუმენტური დასკვნა. აღნიშნული ნორმა არ ვრცელება იმ შემთხვევაზე, როდესაც ადრინდელი გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი მუხლ(ებ)ის ცვლილება ხდება მისი ალტერნატიული არსებითი ნიშნების შემცირების და/ან მასში მითითებული ზღვრების ინტერვალების შემცირების და/ან დამოკიდებული მუხლ(ებ)ის არსებითი ნიშნების საშუალებით.

6. თუ განმცხადებელმა წარმოადგინა ფორმულის შეცვლილი რედაქცია, რომელიც სცილდება განაცხადში წარმოდგენილი გამოგონების არსს, წარმოდგენილი ცვლილება არ მიიღება მხედველობაში, რის შესახებაც ეცნობება განმცხადებელს.

7. საქპატენტს გამოაქვს გადაწყვეტილება პატენტის გაცემის შესახებ (უარყოფითი ან დადებითი) იმ შემთხვევაშიც, როცა ინსტრუქციის ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განცხადებელი არ წარმოადგენს პასუხს.“.

5. ინსტრუქციიდან ამოღებულ იქნეს 35-ე მუხლი.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ ინტელექტუალური საკუთრების

ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“

თავმჯდომარე

ნიკოლოზ გოგილიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

ბრძანება №71

2017 წლის 25 ოქტომბერი, ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბერის №114 ბრძანებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებში“ ცვლილების შეტანის შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ც“ პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბერის №114 ბრძანებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება და მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ბუნებრივი გაზით მომარაგება და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან მიერთების წესი

1. ტრანსპორტირების სისტემის მეშვეობით ბუნებრივი გაზით მომარაგება ან მომარაგების შეწყვეტა განეკუთვნება მხოლოდ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატის უფლებამოსილებას.

2. ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთება შეიძლება მოითხოვოს:

ა) განაწილების ლიცენზიატმა;

ბ) პირმა, რომელსაც სურს გახდეს პირდაპირი მომხმარებელი, თუ მისაერთებელი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება შეუძლებელია.

3. პირს, რომელსაც სურს ტრანსპორტირების სისტემასთან მიერთება, ტრანსპორტირების ლიცენზიატს უნდა წარუდგინოს განაცხადი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ობიექტის განლაგების ადგილი და სახეობა;

ბ) ტრანსპორტირების სისტემასთან სავარაუდო მიერთების წერტილი;

გ) ბუნებრივი გაზის საპროგნოზო მოცულობა (საათობრივი, დღიური, წლიური);

დ) მიწოდების პუნქტში მინიმალური საჭირო წნევა.

4. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან მიერთების მსურველი (განაწილების ლიცენზიატის გარდა) ვალდებულია ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთების განაცხადთან ერთად ტრანსპორტირების ლიცენზიატს ასევე წარუდგინოს ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების (რომლებიც ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას ახორციელებენ მისაერთებელი ობიექტის განთავსების მუნიციპალიტეტში, ასეთის არსებობის შემთხვევაში)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ტექნიკური ხასიათის დასაბუთებული უარი მისაერთებელი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებასთან დაკავშირებით.

5. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატი ვალდებულია დასაბუთებული უარი განაცხადოს მიერთებაზე, თუ:

ა) მიერთების მსურველი ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს;

ბ) განაწილების ლიცენზიატის ან პირდაპირი მომხმარებლის ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ქსელთან (სისტემასთან) მიერთება აშკარა უარყოფით გავლენას იქონიებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საერთო სისტემაზე ან/და შესაძლებლობაზე, სტანდარტულ დონეზე გაუწიოს მომსახურება სხვა მომხმარებლებს;

გ) ტრანსპორტირების სისტემასთან განაცხადში მითითებულ სავარაუდო მიერთების წერტილთან უკვე არსებობს ტრანსპორტირების ქსელთან მიერთება ან სხვა ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელი, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს განაცხადით მოთხოვნილი პირობები.

6. იმ შემთხვევაში, თუ ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთების განაცხადი აკმაყოფილებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირობებს, ტრანსპორტირების ლიცენზიატი ვალდებულია, აღნიშნული განაცხადი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გაუგზავნოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, რომელიც შეისწავლის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე დაერთების უარის დასაბუთებას. ტრანსპორტირების ლიცენზიატის მიერ ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთებაზე თანხმობის გაცემა ან/და მოთხოვნილ მიერთებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების განხორციელება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომისიის შესაბამისი დასკვნის მიღების შემდგომ.

7. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან მიერთებული ობიექტი ექსპლუატაციაში გაიშვება ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატის მიერ ქსელთან მიერთებაზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი მიმღები კომისიის გადაწყვეტილებითა და პროექტით გათვალისწინებული საწარმოო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შემდეგ. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან მიერთებაზე პასუხისმგებელია ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატი.

8. ტრანსპორტირების სისტემაზე დაერთებულ პირდაპირ მომხმარებელს უფლება არა აქვს მოახდინოს მის ქსელზე სხვა მომხმარებლის მიერთება. ტრანსპორტირების ლიცენზიატი უფლებამოსილია არ გაუწიოს ტრანსპორტირების მომსახურება პირდაპირ მოხმარებელს, რომელიც არღვევს ამ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი **ილია ელოშვილი**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ
გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com